18/11/2025

მიტროპოლიტმა შიომ ათანასეს ლავრის წინამძღვარი და მისი საძმოს წევრები მიიღო

ამა წლის 18 ნოემბერს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) საპატრიარქოში ათონის მთის ათანასეს ლავრის წინამძღვარი, კათიღუმენი პროდრომი (ლავრიოტისი) და მისი საძმოს წევრები მიიღო.

შეხვედრას ესწრებოდნენ კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე და სხვა სასულიერო პირები.

საუბარმა გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ დედით ქართველი ათანასე ათონელის ლოცვა-კურთხევით ქართველმა ათონელმა მამებმა დააარსეს ივერთა მონასტერი X საუკუნეში, რომელიც

საუკუნეთა განმავლობაში რჩება ორ ეკლესიას შორის დიდი და ძმური ისტორიული კავშირის ნიშანსვეტად; ითქვა ისიც, რომ ჩვენს დროში მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ძალისხმევით საფუძველი ჩაეყარა ათონის მთასთან ურთიერთობებს, რომელიც ყოველწლიურად ღრმავდება.

სტუმრები საქართველოში 22 ნოემბრამდე დარჩებიან და მოილოცავენ ჩვენს ქვეყანაში არსებულ სიწმინდეებს, ცნობილ ტაძრებსა და მონასტრებს; 21 ნოემბერს, მთავარანგელოზობას კი საზეიმო წირვას აღასრულებენ დარიალის მთავარანგელოზთა

sazu.ge